LTD “Twins”
ტელ: 577 79 97 39
G-mail: ochkhikvadze@gmail.com

კამტკიცებ,
დირექტორი:
ოთარ ჩხიკვაძე

14 აპრილი 2026 წელი

/ხელმოწერა. ბ.ა/ */სახელი გვარი/*

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის იდენტიფიკაცია: გიორგი მეგრელიშვილი

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშ. #1. 2026 წლის 14 აპრილი

ექსპერტიზის ობიექტი: ქ. თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზის ამოცანა: ქ. თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

თბილის 2026 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელი 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
3. წარმოდგენილი მასალები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 7

ინსპექტირების შემსრულებელი:

ოთარ ჩხიკვაძე (პ/ნ 61006011016) – განათლება უმაღლესი, კვალიფიკაცია: ინჟინერ-მშენებელი, მუშაობის შტაჟი სპეციალობით საერთო - 40 წელი.
მუშაობის შტაჟი საპროექტო/ექსპერტიზის გამოცდილებით - 11 წელი.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის №71 დადგენილება
   – „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“.
   - ტექნიკური რეგლამენტი - „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეკლამენტი - „შენობისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);
2. СНиП 2.02.01-83 основания зданий и сооружений, 1983 г.;
3. СНиП 2.03.01-84* „Бетонные и железобетонные конструкции“. М. 1988 г;
4. СниП 2.01.07-85 „Нагрузки и воздействия. Нормы проектирования“;
5. СНиП III-4-80 „Техника безопасности строительства“.

წარმოდგენილი მასალები:

1. ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტი, არქიტექტურული ნაწილი - ელ.ვერსია PDF-ფაილში;
2. ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტი, კონსტრუქციული ნაწილი - ელ.ვერსია PDF-ფაილში;
3. ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის მზიდი კონსტრუქციული ანგარიშის სრული პაკეტი (პროგრამული კომპლექსი LIRA-SAPR 2021 R2.3-ში შესრულებული მოდელირება და ანალიზი) განმარტებითი ბარათი და ადგილის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა - ელ.ვერსია PDF-ფაილში;

კვლევითი ნაწილი

შესავალი

ექსპერტის ამოცანას წარმოადგენს:

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი: ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის ექსპერტიზა - მოქმედ სამშენებლო ნორმები და წესების და პროექტირების ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კვლევა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მოქალაქე გიორგი მეგრელიშვილის დაკვეთით ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. კონსტრუქციული ნაწილის კორექტირება მოხდა 2026 წელს. პროექტის მზიდი კონსტრუქციების ანგარიში შესრულებულია პროგრამული კომპლექსი LIRA SAPR 2021 R2.3-ის გამოყენებით.

კარკასი გათვლილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01.-09)-ის თანახმად კერძოდ:

გაანგარიშება ჩატარებულია მუდმივ, დროებით ხანგრძლივ, ხანმოკლე და სეისმურ დატვითვებზე. გაანგარიშებაში გათვალისწინებულია ჰორიზონტალური და ვერტიკალური სეისმური ზემოქმედებები.

გაანგარიშებაში მიღებულია შემდეგი საწყისი მონაცემები:

- გრუნტის კარეგორია სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება - II კატეგორიას
- სამშენებლო მოედნის საანგარიშო სეისმურობა ცხრ. 1-ის მიხედვით – 8 ბალიანი (პნ 01.01.09 MSK64 შკალა)
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 0.50 კპა (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05.08);
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 0,48 კპა (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05.08);

დროებითი დატვირთვები აღებულია მოქმედი ნორმების მიხედვით.

კარკასის ელემენტების არმირებაში შერჩეულია მუდმივი, დროებით ხანგრძლივი, ხანმოკლე და სეისმური დატვირთვების საანგარიშო ძალვების თანწყობაზე.

პროექტი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნით. მუშა ნახაზებზე შესაბამისი მითითებებითა და განმარტებებით.

პროექტი წარმოადგენს შპს „ას ჯორჯიას“-ს საკუთრებაში ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს. საპროექტო შენობები გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, გვერდების მაქსიმალური ზომები ღერძებს შორის შეადგენს 57,75 X 16,60 მ. შენობა საპროექტო გადაწყვეტით შედგება ორი ბლოკისგან, რომელიც ერთმანეთისგან გამოყოფილია სეისმური ნაკერით. ის კონსტრუქციულად ოცდაერთსართულიანია მათ შორის ორი მიწისქვეშა სართულით. თვისობრივი კონსტრუქციული წყობით ის ხისტკვანძებიანი კარკასული ტიპისაა. მის ვერტიკალურ მზიდუნარიანობას უზრუნველყოფს რკ/ბეტონის ფილოვან საძირკვლეზე დაფუძნებული მოწყობილი რკ/ბეტონის ჩარჩო-კავშირიანი სისტემა გახსიტებული კვანძებით. შეთანხმებულ კორექტირებულ პროექტში შშმპ პირთა ლიფტის ნაცვლად უნდა მოწყობილიყო ლითონის კონსტრუქციით პანდუსი. ვინაიდან აღნიშნული ლიფტის მოსაწყობად ყველა სახის ბეტონის სამუშაოები უკვე მოწყობილია ხოლო კორექტირებული პროექტით უნდა მონგრეულიყო არსებული ბეტონის ფილა, საბოლოოდ გადაწყდა პანდუსის ნაცვლად დავტოვოთ შშმპ პირთა ლიფტი, რაც კონსტრუქციული თვალსაზრისით კარკასის მდგრადობაზე გავლენას არ მოახდეს.

საპროექტო ტერიტორია ხასიათდება:

- თოვლის ნორმატიული დატვირთვა – 0,50 კპა (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05.08);
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 0,48 კპა (დაპროექტების ნორმები „სამშენებლო კლიმატოლოგია“ – პნ 01.05.08);
- ნაგებობის საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი. (სამშენებლო ნორმები და წესები „სეისმომედეგი მშენებლობა“ – პნ 01.01.09).

პროექტის მიმართ არსებული შენიშვნები ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ჩასწორებულ იქნა.

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი: ქ.თბილისი, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის ს/კ 01.17.14.003.504 ნაკვეთზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის სრული სამშენებლო დოკუმენტაცია შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, ასევე პროექტირების ნორმების დაცვით და ეძლევა დადებითი შეფასება.

კვლევის ანგარიში შესადგინა:

ექსპერტი: */ო. ჩხიკვაძე /*



დიპლომი

ЛВ № 052090

ეს დიპლომი მიეცა ოთარ ქიზიმის ძე ჩხიკვაძეს მასზე, რომ იგი 1973 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1983 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ. 6 ივლისის გადაწყვეტილებით ო.ქ. ჩხიკვაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1983 წ. 9 XII

სარეგისტრაციო № 20465

